

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

№2 ოქმი

ქალაქი რუსთავი

27 ივლისი 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ქავთარაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

- | | | |
|-------------------|---|---|
| ნინო ნიკოლავა | - | მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი |
| ნინო ქვირია | - | მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურულ ერთეულის ხელმძღვანელი |
| ამირან ჯანჯღავა | - | ქალაქ რუსთავის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე |
| ნანა შატბერაშვილი | - | ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე |

ასევე ესწრებოდნენ:

- გოჩა ლორია - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
- გრიგოლ ვეფხვაძე - ქალაქ რუსთავის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
- გიგა ჯღარკავა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნებას“ თავმჯდომარის მოადგილე
- აჩიკო ძამაშვილი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსებისა და იურდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

დღის წესრიგი:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება.
2. სხვადასხვა

საკითხი №1

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ქავთარაძემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო საკითხი „გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის დამტკიცება“ და განმარტა, რომ

გენდერული პოლიტიკის განხორციელება მნიშვნელოვანია თვითმმართველობის მუშაობაში. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ მომავალში დაცული იყოს ეს ბალანსი. „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ შემოგვთავაზა 2018 -2019 წლის სამოქმედო გეგმის ნიმუში. აქ საუბარია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე მორგებულ აქტივობაზე. ამ სამოქმედო გეგმაში არის პუნქტები, რომელსაც ჩვენ ამ ეტაპზე ვერ ვახორციელებთ. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია გენდერული ბიუჯეტის დაგეგმვა. რა შეიძლება მოიაზრებოდეს გენდერულ ბიუჯეტში?

ნინო ქვირია: „ტრენინგების ჩატარება ცნობიერების ამაღლების კუთხით. კვლევების დაფინანსება, იმ საკითხებზე, რაც გვინდა რომ შევისწავლოთ.“

ნინო ქავთარაძე: რამდენად გვადიხებს მიმდინარე ბიუჯეტი იმის საშუალებას, რომ მოხდეს მსგავსი პროგრამის დაფინანსება?

გრიგოლ ვეფხვაძე: „ჯერ პროგრამა უნდა გაკეთდეს, შემდეგ განიხილავს საბჭო და მიმართავთ მერიას. შესაძლებელია გამოიყოს გარკვეული თანხა“.

ნინო ქავთარაძე: „იქნებ სამომავლოდ გავითვალისწინოთ, რომ წინასწარ იყოს განსაზღვრული გენდერული ბიუჯეტი.“

ნანა შატბერაშვილი: „ ბიუჯეტი გაწერილია და ნაკლებად შევძლებთ ცვლილებების შეტანას. პირველ რიგში უნდა შევიმუშაოთ გეგმა. უფუნქციოდ არის დარჩენილი ქალთა ოთახი და კარგი იქნება თუ თავის ფუნქციას დაიბრუნებს. ქალთა ოთახის აღდგენით მარტივად გამოიკვეთება ის საჭიროებები და პრობლემები რაც გენდერულ ჭრილშია. ქალთა ოთახი მენეჯერი ანგარიშვალდებულია ქალაქის მერთან. მას ექნება სტატისტიკა რა საკითხებზე, პრობლემებზე მოდიან ადამიანები და რაზე მსჯელობენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ბავშვთა კუთხის მოწყობა, რაც ქალებს გაუადვილებს ურთიერთობას მუნიციპალიტეტთან. უნდა შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც განსაკუთრებულ სენსიტიურ საკითხებზე იმუშავებს. სტატისტიკას თუ გადავხედავთ ქალების რა პროცენტია დასაქმებული, მითუმეტეს მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე ვნახავთ, რომ არ არის განთავსებული ქალთა ფოტო რიგი მიზეზების გამო. ხდება ხოლმე ქალი კანდიდატურების დაბლოკვა. კონკრეტული მიმართულებები ავიღოთ და ოქტომბერ-ნოემბრის თვეში, როცა პროგრამულ ბიუჯეტზე დაიწყება მსჯელობა გვქონდეს მონახაზი, რომ შეიქმნას გენდერული ბიუჯეტი.“

ნინო ქავთარაძე: „ ქალთა ოთახის აღდგენით ძალიან ბევ პრობლემას მოვაგვარებთ“

ნანა შატბერაშვილი: კარგი იქნება თუ ქალთა ოთახში დაიგეგმება მოხალისეობის ინსტიტუტი. ეროვნული უმცირესობა, რომელებსაც უჭირთ ქართულად წერა და მეტყველება თავისუფლად მიმართავს ქალთა ოთახს დახმარებისთვის.“

ნინო ქავთარაძე: „მოხალისეობა შეიძლება ჩვენი აპარატის თანამშრომლებისთვის შეგვეთავაზებინა თუ ამ კუთხით გამოთქვამენ სურვილს. ქალთა ოთახში შესაძლებელია გარკვეული აქტივობები ჩატარდეს“

ნანა შატბერაშვილი; „ ეტაპობრივად უნდა მოხდეს ამის განხორციელება. მოხალისეობის ინსტიტუტში უნდა იყოს ასაკობრივი ზღვარი დაცული. მენეჯერი იქნება ერთგვარი ზედამხედველი, რომელიც ამას გააკონტროლებს.“

ნინო ქავთარაძე: „ სტატისტიკის თვალსაზრისით რამდენად შესაძლებელია შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების დაყოფა სქესის მიხედვით?“

ნინო ქვირია: „ ეთნიკური უმცირესობების მიხედვით ჩვენ ბენეფიციარები არ გვყავს დაყოფილი. თუმცა, შესაძლებელია სტატისტიკის გაკეთება ამ კუთხით. სოციალური სამსახურის თანამშრომლები ეხმარებიან იმ ადამიანებს ვისაც უჭირთ ქართულად წერა. ქალთა ოთახის ამუშავება შეგვიძლებს ამ პრობლემას და ამ კუთხით მომსახურების სერვისი გაუმჯობესდება.“

გრიგოლ ვეფხვაძე: „ქალაქისთვის სამომავლოდ კარგი იქნება თუ გაკეთდება საზაფხულო ბაღი.“

ნინო ქავთარაძე: „ ეს საკითხი ზუსტად გენდერულ საჭიროებებზეა გათვლილი. ამაზე მიდის მსჯელობა და შესაძლებელია მომავალი წლის ბიუჯეტში დაიგეგმოს საზაფხულო ბაღის თემა. „

გოჩა ლორია: „ პირველ რიგში უნდა შეიქმნას პროგრამა, კონსულტაციები გავიაროთ საფინანსო სამსახურთან და ამის შემდეგ, როცა პროგრამულ ბიუჯეტზე დაიწყება მსჯელობა გავითვალისწინოთ გენდერული ბიუჯეტიც.“

ნინო ტაბატაძე: „ცნობირების ამაღლება პირველ რიგში მოსაგვარებელი საკითხია, მუნიციპალიტეტის მხრიდან, რისი გაკეთება შეგვიძლია?“

ნინო ნიკოლავა: „ ეს მოიაზრებს თვითონ საბჭოს წევრების გადამზადებას რამოდენიმე მიმართულებით. წელს აუცილებლად გვინდა, სამოქმედო გეგმაში გაიწეროს და

მოთხოვნაც დავაყენოთ საფინანსო სამსახურში, რომ საბჭოს წევრები და ის პირები რომლებიც სოციალურ სამსახურში მუშაობენ გენდერის ჭრილში მოხდეს დატრენინგება.

ნანა შატბერაშვილი: პირველ ეტაპზე საბჭოს დატრენინგება შესაძლებელი იქნება. ეს არ არის დაკავშირებული დიდ თანხებთან.

გიორგი ჯღარკავა: „ გენდერის მიმართულებით უნდა დაიგეგმოს სწორი საინფორმაციო პოლიტიკა.“

ნინო ქავთარაძე: „ სოციალურ პროგრამას შეიძლება დაემატოს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის, სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამა. ეს არ იქნება დიდბიუჯეტური პროგრამა და შესაძლებელია გავითვალისწინოთ 2019 წლის ბიუჯეტში.“

ნინო ნიკოლავა: „ეს საკითხი შეიძლება რამოდენიმე მიმართულებით განვიხილოთ. მაგალითად: ფინანსური, ფსიქოლოგიური, იურდიული დახმარება, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა მოკლე ვადით და ა.შ“

ნინო ქავთარაძე: „ დღევანდელი სხდომაზე მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა სამი პრიორიტეტი. ცნობიერების ამაღლება გენდერის კუთხით, ქალთა ოთახის ამუშავება და ბიუჯეტში გენდერული ასპექტის გათვალისწინება. ამ კუთხით უნდა მომზადდეს რეკომენდაციები გენდერული საბჭოს სახელით და წარედგინოს შესაბამის სამსახურებს განსახორციელებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ნინო ქავთარაძე

საკრებულოს გენდერული თანასწორობის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე